ოლეგ გოლიაძე

ჯენტლმენი

ლექსიკონებიდან: ჯენტლმენი (ინგლ. gentleman) – 1. კაცი, რომელიც ზუსტად იცავს ბურჟუაზიულ-არისტოკრატიულ საზოგადოებაში მიღებულ ქცევის წესებსა და ნორმებს; 2. ითქმის ზრდილობიან, თავაზიან მამაკაცზე, აგრეთვე, იმაზე, ვინც გამოირჩევა დახვეწილი მანერებითა და ჩაცმა-დახურვით; 3. ქცევის წესების ერთობლიობის მქონე კაცი, გამორჩეული შინაგანი, სულიერი დახვეწილობით, გარეგანი მანერებითა და ჩაცმულობით, რეგლამენტირებული ცერემონიალის დამცველი...

„ჯენტლმენი“ („კეთილშობილი კაცი“) თავდაპირველად ნიშნავდა ადამიანს, რომლის შეცნობა შეიძლებოდა გარეგანი ნიშნებით: მას ჰქონდა საკუთარი გერბი და ფლობდა მიწებს. ამგვარი სახელდებით ვინმეს მოხსენიება კომპლიმენტად კი არ მიიჩნეოდა, არამედ, უბრალოდ, ხდებოდა ფაქტის კონსტატირება; ჯენტლმენი სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა აზნაურს. ვისამე მიმართ თქმა იმისა, რომ იგი „ჯენტლმენი არ არის“, სულაც არ გულისხმობდა შეურაცხყოფას, არამედ, ვიმეორებთ, უბრალოდ შეიცავდა ინფორმაციას პიროვნების სოციალური სტატუსის შესახებ... მაგრამ გამოხდა ხანი, ვითარებები შეიცვალა და გარემოებათა კვალობაზე ცნებამ – „ჯენტლმენი“ – სხვა დატვირთვა შეიძინა. დადგა დრო-ჟამი ისეთი, რომ ვიღაც მართებულად, გონიერად, დახვეწილად მოაზროვნემ ერთ დღესაც მიზანსწრაფულად თქვა: „ბოლოსდაბოლოს, კაცმა რომ სიმართლე განაცხადოს, ჯენტლმენობა სულაც არ გულისხმობს გერბისა და მამულების ქონას, არამედ ქცევაში ისახება და ჭეშმარიტი ჯენტლმენი იგია, ვინაც ყოველთვის ჯენტლმენურად ირჯება...“ ეტიკეტის მოყვარული და დამცველი ფრანგები უფრო შორს წავიდნენ, დაუწერელ კოდექსად აქციეს გამოთქმა: „ჯენტლმენი არის ის პიროვნება, ვინც ასეთია მაშინაც, როდესაც თავის თავთან მარტო რჩება“, რაც, ცხადია, იმას გულისხმობს, რომ სხვათა დასანახად, ფარისევლურად მოქცევა უკვე აღარაა ის, რასაც „ჯენტლმენობა“ ჰქვია...

უძველესი დროიდან მოკიდებული, ადამიანები იძულებულნი იყვნენ, დაეცვათ განსაზღვრული წესები და ქცევები თუნდაც იმ მიზნით,

რომ როგორმე გაეადვილებინათ საკუთარი თანაცხოვრება. კაცმა რომ თქვას, ამის გარეშე შეუძლებელიც შეიქნებოდა გადარჩენა თვით პირველყოფილ საზოგადოებაშიც კი...

თავისთავად, ადამიანთა თანაცხოვრება ნებისმიერ საზოგადოებაში ითვალისწინებს გარკვეული წესების არსებობას. სახელდობრ, ამის გამო შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ინტელიგენტობა ისახებოდა, ვითარცა ქცევათა განსაზღვრული წესების კრებული, რაც, თავდაპირველად, მეტ-ნაკლებად კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის, საზოგადოების გამორჩეული წრისთვისაც აუცილებელი გახლდათ. საწყის ეტაპზე ეს წესები, როგორც ჩანს, ერთიანი იყო, რომელთაც, მეტ-ნაკლებად, ემორჩილებოდა მოწინავე საზოგადოების უმეტესობა; ინტელიგენტობის განმსაზღვრელი ეტიკეტი დროის ამ პერიოდში თვითმყოფადობითად არ ქცეულა, მკვეთრად გამიჯნული არ იყო სხვა წესებისაგან, რომელთა მეოხებით რეგულირდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრება. ის, უბრალოდ, წარმოადგენდა საერთო წესების ერთ ნაწილს.

იგულისხმება, რომ მსგავსი წესები დაუწერელი და როგორღაც უჩინარი იყო, წარმოიშვებოდა მთელი საზოგადოების ბუნებრივი მოთხოვნილების შედეგად და რეგულირდებოდა მის მიერვე. ამგვარი ცოდნისმიერი საუნჯის „მფლობელნი“ და დამცველ-განმსჯელნი გახლდნენ უხუცესნი თემისა, საზოგადოებისა, ხოლო საზოგადოების განვითარების, ინტელექტუალური განათლების მიღების შემდგომ, ან სულაც პარალელურად, ხდებოდა ამ ფენის, ადამიანთა გარკვეული წრის ინტელიგენციად ჩამოყალიბება...

საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ ინტელიგენცია არის ადამიანთა წრე, ჯგუფი, ფენა, რომელიც მოიცავს გონებრივი სამუშაოს სფეროს ხალხს. ესენი არიან: ექიმები, მასწავლებლები, ინჟინრები, არქიტექტორები, მხატვრები, მუსიკოსები, ადვოკატები, მსახიობები, ჟურნალისტები, მწერლები, სამეცნიერო დარგთა მუშაკები, მოსამსახურეთა ნაწილი, პოლიტიკოს-დიპლომატები და მისთ. ეს წრე ადამიანთა არასდროს არ ყოფილა და ვერც იქნებოდა განსაკუთრებული კლასი, ისეთი რაღაც, რასაც თვითმყოფადი მდგომარეობა ექნებოდა საზოგადოებრივი წარმოების სისტემაში; ვითარცა საზოგადოების ზედაფენა, ის არაა ყოველთვის ძალმოსილი, გაატაროს დამოუკიდებელი პოლიტიკა, შეიძლება, პირიქითაც, რადგან მისი ინტერესები, ქმედებანი განსაზღვრულია საკუთრივ იმ წრის ინტერესებით, რომელსაც თავად შეგნებულად, ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც კი, საკუთარი სულიერი მოთხოვნილებისდა კვალობაზე, ემსახურება...

ასევე მიჩნეულია, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ზრდის ინტელიგენციის რაოდენობას და მის როლს საზოგადოებაში, მაგრამ, იმავდროულად, სამწუხაროდ, ფორმაციათა ცვლილების პერიოდში (განსაკუთრებით, ავადსახსენებელი სოციალიზმისას) ეს პროცესი თვალსაჩინოდ შეიბოჭა, დამუხრუჭდა, აღჩნდა თვალნათლივი, არაკეთილისმყოფელი, თითქმის მტრულამდე მიწევნილი დამოკიდებულება ჭეშმარიტი კულტურისადმი, შემოქმედებით ძალების მიმართ და შედეგად ინტელიგენციის, ვითარცა გამორჩეული ფენის როლი შესამჩნევად დაკნინდა, როგორღაც თვალსა და ხელს შუა თითქმის გაილია, რადგან ზნეობრიობა, კეთილდღეობა, კეთილშობილება, თავისუფლება, სამუშაო, თანასწორობა, მიწა, ომი, მშვიდობა, ინტელექტი.., მოგვეხსენება, სრულიად განსხვავებული სიბრტყისა და განზომილების ცნებებია, დევს სხავადასხვა შრეებსა და პლანებში. უფრო მეტიც: საყოველთაო თანხვედრა ამ სფერო-ინტერესებისა ძნელად ან თითქმის ვერ ხერხდება, პირიქით, ზოგჯერ დაპირისპირება-ანტაგონიზმშიც კი გადადის...

სრულიად განსხვავებული ვითარება ისახება ამ მხრივ, ვთქვათ ძველ, შუა საუკუნეების ხანის საქართველოში. ცხადია, იმ დროისთვის არც ჩვენში და არც სხვაგან ხილულად არ არსებობს ჯენტლმენობისა და ინტელიგენტობის ინსტიტუტი, არაა მკვეთრად ჩამოყალიბებული სისტემა ამა თუ იმ წეს-კანონებისა, მაგრამ არსებობს სამართლებრივი, ზნეობრივი, ღირსებითი ნორმები, განსაზღვრულია სოციალურ-ადამიანური მიმართება მაღალ არისტოკრატიულ წრეებსა და შედარებით დაბალ იერარქიულ საფეხურზე მდგომ ფენებს შორის – ესაა „პატრონყმული“ ურთიერთობა, მსოფლიო ცივილიზაციის დონისთვისაც კი (თუმცა რატომ კი) თითქმის უცხო, ჰუმანური ურთიერთობა... მაგალითი? ინებეთ: ხელმეორედ ტარიელის დასახმარებლად აღძრული ავთანდილი, რომელიც შეგნებულად, გაცნობიერებულად ძალუმ ტკივილს აგემებს თავისი საქციელით აღმზრდელს, პატრონს, მეფეს, იმავდროულად არ ივიწყებს თავის გაზრდილს, ერთგულ ყმას, შერმადინს – ცდილობს და აღწევს კიდეც მიზანდასახული ქცევა-განაზრახვით რისხვა-განსაცდელი ააცილოს მას და ავედრებს მეფე-პატრონს, თანაც შეპარვით ყმას არიგებს, როგორ შეჰკადროს „ანდერძის“ გადაცემა. მართალია, გაცხადებულად ეს არაა მოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში (რაც მის სპონტანურობას მოწმობს), მაგრამ აშკარად ჩანს ავთანდილისმიერი „ინტელიგენტური“, „ჯენტლმენური“, მაღალზნეობრივი საქციელი:

„მოვიდა მონა შერმადინ, მოშიშრად, სირცხვილიანად,
ანდერძი ჰკადრა, ატირდა, სიცოცხლე უჩნდა ზიანად.
მოახსენა: „საწოლს ვპოვე ესე მისგან დანაწერი...“

ე. ი. ავთანდილმა კი არ გადმომცა, შემდეგ მოვიძიეო. ამით აშორდა მას მეფის რისხვა...

სიტყვას არ გავამრავლებთ ზნემაღალი, არისტოკრატი რაინდის ცოტნე დადიანის ჭეშმარიტად ჯენტლმენურ საქციელზე, რითაც თანაშეფიცული მოძმენიც იხსნა და მოძალადე დამპყრობიც კი უძლური გახდა მაღალზნეობრივი, ღირსებით აღსავსე, რაინდული ქმედების წინაშე... ისე კი, საზოგადოდ, შემჩნეულია: რაინდები, ჯენტლმენები, ინტელიგენტები კატაკლიზმებისას ყველაზე მეტად განწირულნი არიან...

ეროვნულ მიკერძოებაში რომ არ ჩამოგვერთვას, შუა საუკუნეების რუსული სასულიერო მწერლობის ფურცლებსაც მივწვდეთ. აბაკუმის თხზულებებშიც კი, თითქოსდა ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების „შინაგანი იდეურობისა და სულიერების“ მიუხედავად, XVII საუკუნის დემოკრატიული ლიტერატურის ადამიანური პიროვნების ფასეულობათა კვალობაზე, საკუთრივ პიროვნება ამაღლებულის ფონზე იხილვება, სავსეა განსაკუთრებული პათოსით. იგი, პიროვნება, ახლებურად ჰეროიზებულია და უბადრუკი ყოფაც კი ემსახურება მის ჰეროიზაციას. შუასაუკუნეობრივი იდეალიზაცია პიროვნებას ყოფითზე ზეაღმატებულად, სინამდვილეზე, რეალობაზე ზემდგომად სახავდა: ტანჯული და გვემული აბაკუმიც კი თავს ძალას ატანს, ებრძოლოს ღირსებით სავსე ამ სინამდვილეს და საკუთარი პიროვნების ჰეროიზაცია მოახდინოს ყოფა-ცხოვრების ნებისმიერ წვრილმანში, მაშინაც კი, როდესაც იგი გდია, ვითარცა „ძაღლი თივაზე“, როდესაც „ზურგი დაწყლულებულ-დაჩირქებული“ აქვს, როდესაც „მირიადი მკბენარი ახვევია“ და „ყოველგვარ სისაძაგლეს ჭამს...“

წამებისა და სიკვდილის წინაშეც კი მისთვის უცხოა სიცრუე, ფარისევლობა, სიყალბე... „ეჰეი, მართლაც ასე იყო!“, „არ ვტყუი!..“ – ამგვარი, ვნებით მოსილი შეგონებითი სიმართლით, ღირსებითაა აღსავსე მისი თხზვის სიტყვები...

...შევეშვათ ძველ ყოფას და „პირველსავე სიტყვას“ მოვიდეთ, ვითარცა ჩვენი წინაპრები იტყოდნენ...

საზოგადოდ, შემჩნეულია და თითქმის ეჭვს გარეშეა ის მოვლენა, რომ უკანასკნელ ხანს არა მარტო ჩვენში, არამედ სხვაგანაც მომრავლდა ისეთ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც მოჭარბებულად აქვთ აღმატებული წარმოსახვები, ზომაზე მეტად ამბიციურნი და, აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოდ, დაუმსახურებლად პრეტენზიულნი არიან, იწოდებიან კი „ინტელიგენტებად“, „ჯენტლმენებად“, მაგრამ, სამწუხაროდ, ან ეგების, საბედნიეროდაც კი, ავიწყდებათ ერთი აქსიომური ჭეშმარიტება: რამდენადაც აღმატებულია ადამიანი ინტე-

ლიგენტობის ნიშნულამდე, მით უფრო უბრალო, თავმდაბალია იგი... ყველაფერ ამის სანიმუშო გამოვლინებად, სამაგალითოდ, სათვალსაჩინოდ, მკითხველისთვის გასათვალისწინებელ-გასახსენებლად ამ თვალთახედვით ნიშანდობლივად მოჩანს ზოგიერთი შემოქმედებითი კავშირის თანამდებობრივ პირთა არჩევნების ამსახველი სატელევიზიო კადრები, პრესაში გამოჟონილი ფაქტები და კულისებს მიღმა მიმდინარე პროცესები... ან კიდევ, სავალალოდ, მწარე ღიმილისმომგვრელად, პერმანენტულ მოვლენებად ქცეული რაგინდ ხასიათისა თუ დონის პოლიტ-არჩევნებისეული შეხლა-შემოხლანი...

ჯენტლმენზე, ინტელიგენტზე მსჯელობისას, გვინდა თუ არა, ქვეცნობიერად მამაკაცს მოვიაზრებთ ხოლმე, თუმცა, ცხადია, ინტელიგენტობა, დახვეწილობა, სასურველი მანერები ქალთათვის უფრო უნდა იყოს დამახასიათებელი და არის კიდეც ჯერხნობით (ნუ გვიწყენენ სუსტი სქესის წარმომადგენლები, თუ შევნიშნავთ: ნაწილობრივი „დეგრადაცია“ მათთანაც იხილვება, სამწუხაროდ!), მაგრამ კაცები, ე. წ. „მამაკაცნი“ რატომღაც, უკვე კარგა ხანია, ივიწყებენ, რომ გალანტურნი, კეთილშობილნი, ღირსებასავსენი უნდა იყვნენ; საპირისპიროდ ამისა, ქალთა მიმართ ისინი, ცოტა არ იყოს, უხეშნი გახდნენ, უპასუხისმგებელნი, უყურადღებონი... და ეს „ცოტა“ საკმაოდ „ბევრი“ გროვდება, იმ დონემდე აღწევს, გეგონებათ, მამაკაცთა უმრავლესობა ეს-ესაა დარვინისეული ხიდან ჩამოვიდაო...

რაკი ქალებზეც („ც“ ამ შემთხვევაში გამაძლიერებელი ელემენტია და არა კნინობითი ნაწილაკი!) გვიწევს საუბარი ჯენტლმენის თაობაზე მსჯელობისას, აქვე დავძენთ: ამჟამინდელ მამაკაცთა დეგრადირებაში ლომის წილი თვით ქალებს მიუძღვით (ამ ფაქტს საკუთრივ ქალები, სახელდობრ, ფსიქოლოგი ქალები ამტკიცებენ)... მათი, ქალების დაკვირვების ხაზი ასეთია: თითოეულ ამ მამაკაცს, პერსონას, ცდის პირს, ჰყავდა დედა, ქალი, რომელმაც არა თუ ვერ მიაჩვია, ვერ შეუსისხლხორცა თავის შვილს, მომავალ მამაკაცს ელემენტარული ზრდილობა, მამაკაცური კეთილშობილება, პირიქით, ჩააგონა, რომ იყოს ჯიქური, ბრბოში მუჯლუგუნით გზის გამკაფავი, „მძლევარი“, რადგან ამის გარეშე ჩვენს ყოფაში და ჩვენს ტრანსპორტში ძნელი იქნება საარსებო სივრცის მოძიება...

მაინც რა მოხდა, რაა მამაკაცთა თანდათანობითი დეგრადაციის მიზეზი?.. იმავე ფსიქოლოგთა, სოციოლოგთა თვალთახედვით, მიზეზები არცთუ მცირეა: თავდაპირველად 1917 წლის რევოლუცია, სამოქალაქო ომი, 1924 წლის მოვლენები საქართველოში, პოლიტიკური რეპრესიები, ე. წ. „დიდი სამამულო ომი“... ვინც გადარჩა, იმან თავისი გატანჯულ-დაზიანებულ-შეცვლილი გენეტიკა გადასცა თავის ვაჟიშ-

ვილებს, რომელთაც ხვნა-თესვით, ჩაის კრეფით, ლუკმა-პურის შოვნით გათანგული ქალები ზრდიდნენ... მაინც ქართველ, იმდროინდელ გაწამებულ დედათა სასახელოდ უნდა ითქვას: მათ არაერთი ჯენტლმენი და ინტელიგენტი აღუზარდეს სამშობლოს...

მხოლოდ ეს მომენტები?.. სხვა არაფერია ხელისშემსშლელი?..

ცხადია, არა მხოლოდ... მაგრამ მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ ზემომოხმობილი მიზეზები საგულისხმო, გასათვალისწინებელი, ანგარიშში ჩასაგდები უთუოდაა. გასათვალსაჩინებელია თანამედროვე თაობის ნაკლები წიგნიერება, ჯერ ტელევიზიითა და შემდგომ კომპიუტერით უსამანო გატაცება... გატაცება კი არა, უფრო დამონება კომპიუტერიზაცია-მობილურიზაციის მიმართ, ეპისტოლარული ჟანრის სრულიად გაქრობა „ფეისბუკისა“ და „მესიჯების“ მეშვეობით, ზეაღმატებული მოშიშვლება ვნება-გრძნობებისა და მეტყველებისა, რაც აპრიორულად უკურეაქციული ქმედების მომტანია...

რუსეთში და პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ინტელიგენციის დეგრადაციის საკითხი უკვე პრობლემად იქცა, მტკივნეულ იარად, ისეთ რამედ, რაც პრინციპულ, კატეგორიულ, ქმედით წინააღმდგომ საშუალებებს ითხოვს... ნუ გაიკვირვებთ და თვით ინტელიგენტი მანდილოსანი, ფსიქოლოგი, გაბეზრებული დღევანდელი ყოფითა, ასეთ რასმე იზრახვის: „...ჩანს, მოვიძიე ადექვატური საშუალება. პოლკოვნიკმა კოლტმა (ავტომატური, მჭიდიანი რევოლვერის გამომგონებელი. რედ.) სუსტთა და ძლიერთა შანსები გაათანაბრა. ვიყიდი გაზის პისტოლეტს, რომელიც ძალიან ჰგავს ნამდვილს და სოლიდურად გამოიმზირება... მესმის, რომ სახიფათოა, მესმის, რომ, შესაძლოა, საწინააღმდეგოდ შემომიბრუნდეს, ვაცნობიერებ, რომ ეს არ უწყობს ხელს საზოგადოების ცივილიზაციურად გარდაქმნას.., მაგრამ თქვენ, კაცებო, გინდათ ჯუნგლები? თქვენ მას მიიღებთ!..“

ღიმილისმომგვრელია?.. კი და არც!.. გავიზიაროთ?.. ვფიქრობთ, ყველამ თვითვე უნდა მიხედოს თავის პრობლემას. ქართველებს ამის თაობაზე შესანიშნავი შეგონება-ანდაზები გვაქვს, ზოგან კი „ინტელიგენტობის“ ჩვევათა შემსწავლელი კურსებია გახსნილი... ზოგან არაინტელიგენტური საქციელი ადმინისტრაციული სანქციებით ისჯება...

ჩვენთვის, ქართველებისთვის სადაა „გზა ხსნისა?..“ გზა ბევრია, მაგრამ „ჯენტლმენობისაკენ", „ინტელიგენტობისაკენ“ სავალი მაინც ისევ და ისევ ჩვენი წინაპრების ჯანსაღ ტრადიციულ ყოფაშია საძიებელი...